საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ტურიზმის ეროვნული
ადმინისტრაცია

Legal Entity of Public Law
GEORGIAN NATIONAL TOURISM
ADMINISTRATION

KA020319308890621

თბილისი, 0105, სანაპიროს 4 ტელ: 2-43-69-99, ფაქსი: 2-43-69-99
4 Sanapiro st. 0105, Tbilisi ,Georgia. Tel: (+ 995 32) 2-43-69-99, Fax: (+995 32) 2-43-69-99
E-mail: info@gnta.ge, www.georgia.travel

N18/515 **28 / ოქტომბერი / 2021 წ.**

გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის
მოადგილეს ქალბატონ ნინო
თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე წლის 7 ოქტომბრის N10498/01 წერილითან დკავშირებით, რომელიც ეხება დაბა (კურორტ) გომისმთის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის განცხადებისა და განაშენიანების გეგმის კონცეფციის თაობაზე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის საკითხს, გაცნობებთ, რომ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კომპეტენციის ფარგლებში გავეცანით წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მოგახსენებთ, რომ ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც მოიცავს დაბა (კურორტ) გომისმთაზე ზვავების კვლევასა და ზამთრის სამთო-სათხილამურო ტურიზმის პოტენციალის შესწავლა/შეფასებას, თემატიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეაფასოს მთის ტრასების სააგენტომ მისი კომპეტენციის ფარგლებში.
დაბა (კურორტ) გომისმთის ზამთრის სახეობების განვითარების ხედვასთან დაკავშირებით, მიგვაჩნია, ის განხილულ იქნას კურორტ ბახმაროსა და სათხილამურო კურორტ გოდერძისთან ერთად ერთიან ჭრილში, რათა სამომავლოდ შევძლოთ კონკურენტუნარიანი სერვისების განვითარება. როგორც სკოპინგის ანგარიშშია ნახსენები, ბოლო წლების განმავლობაში ბახმაროში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება თავისუფალი სრიალი. გოდერძიზე კი გარკვეული ინფრასტრუქტურაა განვითრებული სათხილამურო ტრასებისა და მცირე ზომის საბაგიროს სახით. მიგვაჩნია, ადგილობრივი თუ საერთაშორისო მოგზაურებისათვის დივერსიფიცირებული სერვისების შეთავაზების კუთრით, მნიშვნელოვანია ერთ გეოგრაფიულ არეალში განსხვავებული გამოცდილების მიღების შესაძლებლობის არსებობა - აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, კურორტები ბახმარო და გომისმთა დამსვენებლებს სთავაზობდეს ხელუხლებელ გარემოში სრიალის შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში, ზემოხსენებული 3 კურორტი შექმნის გარკვეულ განსხვავებული სერვისის მქონე კლასტერს და არა ერთმანეთის მსგავსს და ერთმანეთისთვის კონკურენტ მიმართულებებს.

პატივისცემით,

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად თამაზ იორაშვილი